ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N24

ქ.გარდაბანი **20 დეკემბერი 2019წელი**

ერთის მხრივ: გარდაბნის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის **მარინა გოგოლაძის** სახით და მეორეს მხრივ ი/მ ვუსალ ისკანდაროვი" (შემდგომში „მიმწოდებელი") გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი კლასიფიკატორის კოდი

1.1 მცირეფასიანი ელექტრო ღუმელების მიწოდება-შესყიდვა **(CPV-კოდი39700000; 39711361**

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 325(სამასოცდახუთ) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი სასაქონლო ზედნადებისა და მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ,შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1 მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას მოახდენს ხელშეკრულების დადებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2 საქონლის მიწოდების ადგილია ქ.გარდაბანი დ.აღმაშენებელის ქN80

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

5.2 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) თანადროულად და წერილობით აცნობოს შემსყიდველს მომსახურების შესრულებისას მოსალოდნელი შეფერხების შესახებ.

გ) მიწოდებული საქონლის ან მომსახურების ხარისხი პასუხობდეს ხელშეკრულების პირობებს და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას იგი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

გ) რაიმე წუნის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ,,მიმწოდებელს წერილობითი ფორმით.

5.4 მიმწოდებელს არ აქვს უფლებაშემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

6.მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობას ან ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში,დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის ყოველ გადაცდენილ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

6.4 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული,როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ,დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით,მხარეთა შეთანხმების საფუძველზე,რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.2 ხელშეკრულების პირობების,მათ შორის ფასის შეცვლადაუშვებელია თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაან უარესდება ხელშეკრულების პირობებიშემსყიდველისთვის,გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლიტ გათვალისწინებული შემთხვევისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულიშემთხვევებისა.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10% -ზე მეტი ოდენობით.

7.4 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5 ხელშეკრულების დამდები მხარე,რომელიც მიიღებს 7.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება წინასწარ წერილობით 5 კალენდარული დღით ადრე.

7.6 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1 ამ ხელშეკრულების დროს წარმოშობილი დავები და უთანხმოებანი გადაიჭრება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

9.2 თუ მხარეები ვერ გადაწყვეტენ წარმოშობილ საკამათო საკითხებს ,მაშინ საკითხი გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით.

10.დასკვნითი დებულებები

10.1 ყოველივე ზემოთ თქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე,ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულების თითო ეგზემპლარი.

შემსყიდველი
გარდაბნის მუნიციპალიტეტის
ა(ა) იპ საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და
უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრი

ს/კ 226576130

სახელმწიფო ხაზინა

დირექტორი

/მარინა გოგოლაძე/

მომწოდებელი
ი/მ „ვუსალ ისკანდაროვი"

გარდაბანი დ.აღმაშენებლის ქN28
ს/კ 12001073374
ა/ა GE15LB0112151152778000

LBRTGE22

/ვ.ისკანდაროვი/

NNLE Public Health and Safety Environment Center

Подписано цифровой подписью: NNLE Public Health and Safety Environment Center
Дата: 2019.12.20 16:08:02 +04'00'